საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 909-03
11/03/2021

„2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N251-03 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N251-03 ბრძანებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბაკალავრო საფეხურზე გადამსვლელ სტუდენტთათვის განისაზღვრა 60 ვაკანტური ადგილი. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელებაზე გაზრდილი მოთხოვნის გამო, ფაკულტეტის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2 ადგილის დამატების თაობაზე. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე,

,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2021 წლის 11 მარტის N2161-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება „2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში შიდა მობილობის ვადების დამტკიცების შესახებ“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის 5 თებერვლის N251-03 ბრძანების მე-4 პუნქტში, კერძოდ 60-ის ნაცვლად განისაზღვროს 62 ვაკანტური ადგილი და ჩამოყალიბდეს ქვემოთ მოცემულის შესაბამისად;

„4. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე სხვა ფაკულტეტიდან/სკოლიდან საბაკალავრო საფეხურზე გადამსვლელ სტუდენტთათვის განისაზღვროს 62 ვაკანტური ადგილი. ამ რაოდენობაში არ შედის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფარგლებში განსაზღვრული ადგილები;“

2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, ეს ბრძანება გააცნოს ფაკულტეტებს/სკოლას, ბიუჯეტირებისა და ფინანსური ანალიზის სამსახურს, შემოსავლების აღრიცხვისა და ანალიზის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რექტორის აპარატს, იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საგარეო ურთიერთობების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ადმინისტრაციის სამდივნოს, სტუდენტურ საქმეთა დეპარტამენტს.

გიგა ზედანია

რექტორი